დღეს ხელისუფლებას აწყობს განსხვავებულად მოაზროვნე პიროვნებას ოპოზიცია უწოდოს

“საერთო გაზეთი” – 29 აპრილი, № 17, 2009

უკანასკნელი დღეებია გაცხარებული კამათი მიმდინარეობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შესაძლო მომავალ დიალოგზე. თუმცა, ვიდრე ოპოზიციის რომელიმე ლიდერი შეხვდება მათ, მოხდა პარლამენტის თავმჯდომარესა და დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრთა დიალოგი. ვესაუბრებით კლუბის წევრს, პროფესორ ლადო პაპავას, რომელიც მოგვითხრობს ამ შეხვედრის შესახებ.

– ბატონო ლადო, რა იყო დამოუკიდებელ ექსპერტთა შეხვედრის მიზანი ხელისუფლების წარმომადგენელთან და რა შედეგი გამოიღო მან?

– ჩვენი შეხვედრა მოხდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძესთან, ვინაიდან ის დღეს ხელისუფლებაში ფაქტობრივად მეორე პირია, ხოლო პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში – მისი მოვალეობის შემსრულებელი. ეს იყო ჩვენი ჩანაფიქრი, როდესაც ჩვენ მას ვხვდებოდით.

წინასწარ, ვიდრე შევხვდებოდით, ბაქრაძემ ითხოვა, რომ ამ შეხვედრაზე ჩვენს გარდა ყოფილიყვნენ სხვა ექსპერტებიც, რომელნიც დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის წევრები არ არიან. ამაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ და შევთავაზეთ, თუ მას სურვილი ექნებოდა, შეეძლო მოეყვანა ნებისმიერი პოლიტიკოსი თავისი გუნდიდან, იქნებოდა ეს პარლამენტიდან თუ მთავრობიდან.

ასეთ შემთხვევაში მან მოიყვანა დიმიტრი შაშკინი. შეხვედრაზე საკითხების რამოდენიმე ჯგუფი იყო განხილული კერძოდ: პირველი – ადამიანთა უსაფრთხოება მიმდინარე აქციების დროს, – რათა არავის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა. მეორე საკითხი იყო – ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება. განვიხილეთ ის, თუ რა საფრთხეები შეიძლება შეექმნას დღეს ქვეყანას. მესამე საკითხად შევთავაზეთ სქემა, თუ როგორ უნდა ვიპოვოთ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

პასუხად მივიღეთ ის, რომ მთელ რიგ თემებზე, კერძოდ, პრეზიდენტის გადადგომაზე, პარლამენტის ვადამდელ არჩევნებზე, რეფერენდუმის ჩატარებაზე ხელისუფლება მსჯელობას არ აპირებს, ანუ აქ გავლებულია წითელი ხაზი, თუმცა, მათ შეუძლიათ სხვა თემაზე საუბარი.

– რა იყო ეს სხვა თემა?

– მათ სურდათ ოპოზიციასთან გლობალურ ეკონომიკურ კრიზისზე საუბარი, ჩვენ კი განვუმარტეთ, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისის ფონზე ამ თემაზე საუბარი საზოგადოების დაცინვაა და მეტი არაფერი. რაც შეეხება გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს, ამ თემაზე ლონდონში შეიკრიბა დიდი ოცეული და იქ დასახეს კრიზისიდან გამოსავალი გზები. ტრილიონობით დოლარი გამოიყო ამისათვის და ბოლომდე გარანტია არ არის იმისა, რომ ეს კრიზისი დაიძლევა.

ჩვენი რჩევა იყო ის, რომ მას გადაეცა ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისათვის, ჩვენი ხედვა. კერძოდ, იმასთან დაკავშირებით, რომ იქ სადაც ხელისუფლება წითელ ხაზს ავლებს, უნდა გაჩნდეს ვარდისფერი ხაზი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შორის გარკვეული თემები უნდა გახდეს სადისკუსიო. ჩვენ ვიცოდით, რომ ბატონი ბაქრაძე პირადად ამაზე პასუხს ვერ გაგვცემდა და ამაზე ვერ ილაპარაკებდა, მაგრამ უნდა ყოფილიყო ინფორმაციის მიმტანი ხელისუფლებასთან, რათა განიმუხტოს პოლიტიკური დაძაბულობა საქართველოში. აუცილებლად მიგვაჩნდა მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომა და ოპოზიციის ლიდერებთან გარკვეულ მოლაპარაკებაზე წასვლა, რათა ქვეყანა უფრო დიდ პოლიტიკურ კრიზისში არ ჩაეფლოს, – ეს იყო ჩვენი, როგორც ექსპერტების ფუნქცია.

ჩემი აზრით, ერთადერთი სწორი გამოსავალი შექმნილ სიტუაციაში არის რეფერენდუმი. ვიცით, რომ მთელი ხალხი ვერ დადგება რუსთაველზე და ვერ დააფიქსირებს თავის აზრს. ასევე, ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას ექნება სათქმელი იმაზე, რომ ის ხალხის ნებას ასრულებს. ამიტომ საჭიროა ჩატარდეს რეფერენდუმი და დავინახოთ – რა უნდა ხალხს.

საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლში ჩაწერილია, რომ ქვეყანაში ძალაუფლების წყარო არის ხალხი, ხოლო ხალხი ამ უფლებას გამოხატავს რეფერენდუმის გზით. აქედან გამომდინარე, დღეს საჭიროა ამოქმედდეს კონსტიტუციის მეხუთე მუხლი.

სამწუხაროდ, ხელისუფლებისათვის ეს თემაც მიუღებელია და ის არ აპირებს ამაზე მსჯელობას.

დისკუსიის ბოლოს ბაქრაძე შეგვპირდა, რომ განმეორებითი შეხვედრა მოხდებოდა 2-3 დღეში, მაგრამ შემდეგ მას არ შევხვედრივართ. ალბათ იმიტომ, რომ მათ სასაუბრო თემები არ აქვთ.

– რატომღაც ზოგიერთმა პოლიტიკოსმაც და საზოგადოების წარმომადგენლებმა, თქვენ ოპოზიციად აღგიქვეს, და ამ შეხვედრასაც ასეთი განმარტება მისცეს...

– ერთი განმარტება მსურს გავაკეთო. მას შემდეგ რაც დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი შეიქმნა, ხელისუფლება ცდილობს გვიწოდოს ოპოზიცია. ამიტომ ამ შეხვედრაზეც განვუმარტე მათ, რომ ჩვენ არ ვართ ოპოზიცია, არ ვართ არც ერთ პარტიაში და ვართ დამოუკიდებელნი. თუმცა, ჩანს, რომ დღეს ხელისუფლებას აწყობს ნებისმიერ განსხვავებულად მოაზროვნე ჯგუფს ან პიროვნებას ეძახოს ოპოზიცია და ისინი ვერ ანსხვავებენ დამოუკიდებელ ექსპერტებს მათგან.

– დაბოლოს ბატონო ლადო, თქვენი რჩევა მხოლოდ რეფერენდუმია?

– რეფერენდუმის ჩატარება საკითხის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი სწორი ფორმაა, თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მას აქვს ასევე ქვეთავები. კერძოდ, საჭიროა შეიქმნას ახალი ცენტრალური საარჩევნო კომისია, პროცესის გამჭვირვალეობისათვის კი აუცილებელია შეიქმნას კოალიციური მთავრობა, რომელიც ამ პროცესს გააკონტროლებს და ჰქონდეთ მათ ნდობა. ასევე აუცილებელია, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა. ამიტომ რეფერენდუმი უნდა განვიხილოთ კომპლექსში.

– როგორ ფიქრობთ, შეხვდება თუ არა ხელისუფლება ოპოზიციას.

– თუ ისინი რეალურ სასაუბრო თემას არ გააჩენენ ხალხთან ურთიერთობისათვის, ასეთ შეხვედრას აზრი არ ექნება. ერთი მხარე ამბობს პრეზიდენტი გადადგესო, მეორე კი გლობალური ეკონომიკური კრიზისი დავძლიოთო – ერთი ალთასაა მეორე – ბალთას. აქ რა საუბარი უნდა შედგეს.

უნდა გამონახონ მთავარი სასაუბრო თემა.

ეთერ კასრელიშვილი